MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
Date: 2023.04.03 12:46:14 +04'00'

ხელშეკრულება № 69/2342

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
cpv კოდი - 75100000

ქ. რუსთავი აპრილი 2023 წ.

ერთის მხრივ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი მისი ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ჭელიძის სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება:

1.1. სატრანსპორტო საშუალება ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალება – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება.
1.2. რეგისტრაცია –საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქცი“-ით დადგენილი წესით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების პირველადი რეგისტრაცია, დროებითი რეგისტრაცია, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, აღრიცხვიდან მოხსნა, სარეგისტრაციო ნიშნების გაცემა, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის მისი დაშვება, დადგენილი წესით სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში (სისტემაში) ელექტრონული ან/და მატერიალური სახით სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემების ასახვა.
1.3. რეგისტრაციაში ცვლილებები – შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, რეგისტრაციის შედეგად სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასახული საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ინსტრუქცი“-ის მე-8 მუხლის პირველი ან მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებში ცვლილების ან/და დამატების შეტანა.
1.4. სარეგისტრაციო ნიშნები - რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი), ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, დროებითი მოწმობა, სატრანზიტო სანომრე ნიშანი, შიდა ტრანზიტი, ტექნიკური ტალონი, „TEST“ ნომერი.
1.5. საფასური - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი.
1.6. მომსახურება – კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საექსპერტო შემოწმება; დათვალიერება; რეგისტრაცია; დაჩქარებული მომსახურება; აგრეთვე სააგენტოს მიერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა მომსახურება.
1.7. დაჩქარებული მომსახურება – შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების გაწევა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემჭიდროებულ დროში.

მუხლი 2 . ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული სავარაუდო ღირებულების ფარგლებში.

მუხლი 3 . ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარს და მისი ოდენობა დაზუსტდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით.
3.2. მომსახურების ტარიფები – მომსახურების ტარიფები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.3. გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
3.4. გადახდის გრაფიკი - ეტაპობრივად, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო ვალდებულია:
4.1.1. კანონით განსაზღვრულ ვადებში განიხილოს შემსყიდველის განცხადება სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
4.1.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტები და სატრანსპორტო საშუალებები სრულად აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილმოთხოვნებს, მოახდინოს მათი რეგისტრაცია და მიანიჭოს სარეგისტრაციო ნიშნები;
4.1.3. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
4.1.4. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში შემსყიდველს ზეპირად ან/და წერილობითი ფორმით დაუსაბუთოს სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.
4.1.5. შემსყიდველის მიერ სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებული ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში ხელმეორედ განიხილოს იგი;
4.1.6. გაუწიოს შემსყიდველს ჯეროვანი მომსახურეობა;
4.1.7. თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;
4.1.8. შემსყიდველის მიერ კანონით დადგენილ საფასურის განაკვეთზე მეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნოს შემსყიდველს სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით დადგენილ განაკვეთს შორის;
4.1.9. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.
4.2. სააგენტოს უფლება აქვს:
4.2.1. კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე;
4.2.2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის განხორციელებისას მოითხოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
4.2.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
4.2.4. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება;
4.2.5. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. შემსყიდველის უფლებები და ვალდებულებები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:
5.1.1. დაემორჩილოს სააგენტოს კანონიერი მოთხოვნებს;

5.1.2. სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისათვის სრულად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გაიაროს ყველა საჭირო პროცედურა;
5.1.3. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;
5.1.4. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
5.1.5. ხელი შეუწყოს სააგენტოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში;
5.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
5.2.1. კანონიერი საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მომსახურების გაწევა;
5.2.2. მოსთხოვოს სააგენტოს ჯეროვანი მომსახურების გაწევა;
5.2.3. მოითხოვოს დაჩქარებული მომსახურების გაწევა;
5.2.4. იდავოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია;
5. 2.5. მომსახურების დაწყებამდე უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე;
5.2.6. მოითხოვოს რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები;
5.2.7. მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია;
5.2.8. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება;
5.2.9. მოითხოვოს სააგენტოს მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება;
5.2.10. სააგენტოსთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის.

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.
7.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ფორს-მაჟორული გარემოების დადგომიდან 10 კალენდარულ დღეში უნდა გაუგზავნოს მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ამ პუნქტით განსაზღვრული ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოება არ ჩაუთვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად.
7.4. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებები არ აღმოიფხვრა მისი დადგომიდან ერთი თვის განმავლობაში და აღნიშნულის გამო იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომლის შეუძლებლობის შემთხვევაშიც მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად მოშალონ/შეწყვიტონ ხელშეკრულება მოქმედების ვადის გასვლამდე, რაც არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეების იღებენ ვალდებულებას, რომ მიმართავენ ყველა ღონეს, რათა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი სადავო საკითხი გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების გზით.
8.2. ურთიერთშეუთახმებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოში კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებს უფლება არა აქვთ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს.
9.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
9.3. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყევლა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
9.5. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხოლო სააგენტო ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრამდე.
10.2. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი
ინსპექტირებას/ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ედუარდ ალიკიანი და ამავე სამსახურის პირველი კატეგორის უფროსი სპეციალისტი ვახტანგ ჭინჭარაული ან/და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვასილ გოგუა.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. 4
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 836 322
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ტელ: 294 50 00

ვლადიმერ კონსტანტინიდი
მინისტრის მოადგილე

მიმწოდებელი
სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს მომსახურების სააგენტო
მის: ქ.რუსთავი, თბილისი–წითელი ხიდის
გზატკეცილი 21–ე კმ
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა: 707157051
ს/კ: 205190513
ზურაბ ჭელიძე
ეკონომიკური და ლოგისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

;

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2023 წელი

ვადასტურებთ, რომ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული მომსახურებების (CPV კოდი: 75100000) სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან (ს/კ 205190513) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ვლადიმერ კონსტანტინიდი

მინისტრის მოადგილე

ედუარდ ალიკიანი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)

ვახტანგ ჭინჭარაული

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

49/105

13/11/2020

უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ” და „ი” ქვეპუქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსს - **ზურაბ ჭელიძეს** მიენიჭოს შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სახელით დადოს გარიგებები და გააფორმოს ხელშეკრულებები (გარდა „„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „რ[1]“ და „ჩ[1]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, ავტორიზაცია/ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გირავნობის ან/და ლიზინგის რეგისტრაციის ან/და რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელების ან/და გირავნობის ან/და ლიზინგის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე ელექტრონული დოკუმენტის წარდგენის უფლების მინიჭების თაობაზე);

ბ) ხელი მოაწეროს ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარიგებ(ებ)ის/ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების/მომსახურების/საქონლის შესრულების/მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს;

გ) წარმოადგინოს სააგენტო სახელმწიფო ხაზინაში და საბანკო დაწესებულებაში;

დ) განკარგოს სააგენტოს ანგარიშები:
დ.ა) შეიტანოს თანხები;
დ.ბ) გადარიცხოს თანხები;
დ.გ) აღნიშნული მიზნებისათვის შეასრულოს ნებისმიერი სხვა საბანკო ოპერაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს.

ე) სააგენტოს სახელით მიიღოს გადაწყვეტილება 5 000 (ხუთი ათასი) ლარზე ნაკლები ღირებულების საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 11 აგვისტოს №49/67 ბრძანება.

3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. N10).

ბესიკ ტეფნაძე
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 9 18 00049/12

07/03/2018

„უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე “ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 8 აპრილის N35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და საქართველოს შინაგა ნ საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ - საქარ თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-3 მუხლის მე -3 პუნქტის "ი" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 8 აპრილის N35 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები აგრეთვე მიენიჭოს სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსს - ზურაბ ჭელიძეს (პირადი N01006014175).“.

2. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. N10).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
სააგენტოს დირექტორი
მარიანა მორგოშია

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

49/67

11/08/2020

უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ” და „ი” ქვეპუქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსს - **ზურაბ ჭელიძეს** მიენიჭოს შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) სააგენტოს სახელით დადოს გარიგება და გააფორმოს ხელშეკრულებები:
ა.ა) სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ გარიგების (ხელშეკრულების) ფასი არ აღემატება 500 000 ლარს;
ა.ბ) იმ საკითხებზე, რომლებზეც გადაწყვეტილებაც არ მიიღება კომისიური წესით, თუ გარიგების (ხელშეკრულების) ფასი არ აღემატება 100 000 ლარს.

ბ) ხელი მოაწეროს:
ბ.ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარიგების/ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს;
ბ.ბ) სააგენტოს სახელით გაფორმებულ/დადებულ ნებისმიერი ღირებულების გარიგების/ხელშეკრულების საფუძველზე, შესრულებული სამუშაოების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

გ) წარმოადგინოს სააგენტო სახელმწიფო ხაზინაში და საბანკო დაწესებულებაში;

დ) განკარგოს სააგენტოს ანგარიშები:

დ.ბ) გადარიცხოს თანხები (250 000 ლარამდე);
დ.გ) აღნიშნული მიზნებისათვის შეასრულოს ნებისმიერი სხვა საბანკო ოპერაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტით დადგენილი თანხის გადარიცხვის ზედა ზღვარი არ ეხება:
ა) სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისთვის გადასარიცხ თანხებს;
ბ) კომუნალური მომსახურების ხარჯებს (მათ შორის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციის, დეზინფექცია-დერატიზაციის და სხვა ხარჯებს;
გ) სააგენტოს მოსამსახურეთა ხელფასის და ფულადი პრემიის გადასარიცხ თანხებს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 8 აპრილის №35 ბრძანება.

4. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. გულუას ქ. N10).

ბესიკ ტეფნაძე
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დირექტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი